მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მარტი, 2021

ძირითადი ცვლილებები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის თებერვალში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა -5.1 პროცენტი. ამავე დროს, წინა თვესთან ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 7.2 პროცენტი, ხოლო სეზონურად მოსწორებული თვიური ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 2.2 პროცენტს;

- 2020 წლის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ შემცირდა 6.2 პროცენტით 2019 წელთან შედარებით;

- წლიურმა ინფლაციამ მარტში შეადგინა 7.2 პროცენტი, თუმცა სეზონურად მოსწორებული ანუალიზებული საბაზო ინფლაცია წინა თვესთან შედარებით გაუტოლდა 1.3 პროცენტს;

- თებერვალში ექსპორტი შემცირდა წლიურად 3 პროცენტით, ხოლო იმპორტი შემცირდა წლიურად 12.2 პროცენტით, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 21.2 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 347.9 მლნ აშშ დოლარს;

- თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 12.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.7 პროცენტით წინა თვესთან;

- ეროვნულმა ბანკმა გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით 8.5 პროცენტამდე.

ეკონომიკურმა ზრდამ თებერვალში შეადგინა -5.1 პროცენტი

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2021 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ს კლებამ 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარი-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი -8.3 პროცენტია.

- წლიური შემცირების მიუხედავად, თებერვალში თვიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 7.2 პროცენტი, ხოლო სეზონურად მოსწორებული ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 2.2 პროცენტს.

- 2021 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ტრანსპორტი და დასაწყობება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და დამამუშავებელი მრეწველობა.

- ზრდა დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ვაჭრობის, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სექტორებში.

- 2020 წლის წინასწარი მონაცემებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის კლებამ წინა წელთან შედარებით 6.2 პროცენტი შეადგინა.

წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციებზე სუბსიდირების შეწყვეტის შემდეგ

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, ავტორის გაანგარიშება

სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 21.2 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის დეკომპოზიცია



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- თებერვალში ექსპორტი წლიურად შემცირდა 3 პროცენტით და გაუტოლდა 270.3 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 23.4 პროცენტით და გაუტოლდა 202.6 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 12.2 პროცენტით და გაუტოლდა 618.2 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 21.2 პროცენტით და გაუტოლდა 347.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წილმა შეადგინა 25.2 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 35 პროცენტი.
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტი წლიურად შემცირდა 3.8, 3.8 და 4.7 პროცენტით შესაბამისად (წილი მთლიან ზრდაში).

წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი 2021



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი 2021



ექსპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, თებერვალი 2021



იმპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, თებერვალი 2021



- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 44.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 16.6 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 28.8 მლნ აშშ დოლარი - 10.7 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 25.1 მლნ. აშშ დოლარი - 9.3 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - მსუბუქი ავტომობილები: 64.3 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 10.4 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 44.2 მლნ აშშ დოლარით - 7.6 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 36.6 მლნ აშშ დოლარით - 7.6 პროცენტი.
- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - რუსეთი: 48.4 მლნ. აშშ დოლარი - 17.9 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 32 მლნ. აშშ დოლარი, 11.8 პროცენტი.
  - ჩინეთი: 26.9 მლნ. აშშ დოლარი, 10 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - თურქეთი: 110 მლნ. აშშ დოლარი - 17.8 პროცენტი.
  - რუსეთი: 76.1 მლნ. აშშ დოლარი - 12.3 პროცენტი.
  - აშშ: 56.3 მლნ. აშშ დოლარი - 9.1 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი განაგრძობს შემცირებას წინა წელთან შედარებით

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი



ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, თებერვალი 2021

ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი	ცვლილება, %წ/წ
თურქეთი	4167.6	-83.2%
ევროკავშირი	1780.0	-93.8%
რუსეთი	1691.2	-93.2%
უკრაინა	851.4	-92.0%
აზერბაიჯანი	802.1	-94.8%
სომხეთი	538.0	-94.0%
სხვა	3819.7	-91.9%

- 2021 წლის თებერვალში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 91.5 პროცენტით შემცირდა და 13.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.
- ამავე დროს, იანვართან შედარებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 31.8 პროცენტით, ხოლო სეზონურად მოსწორების შემთხვევაში, თვიური ზრდა უდრის 27.6 პროცენტს.

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები



წმინდა ფულადი გზავნილები, თებერვალი 2021

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები	ცვლილება, %წ/წ	წილი, %
იტალია	28,209.7	32.6%	20.1%
აშშ	18,932.8	36.1%	13.5%
საბერძნეთი	18,810.3	22.0%	13.4%
რუსეთი	18,752.2	-13.5%	13.4%
ისრაელი	13,656.4	-3.2%	9.7%
სხვა	42,052.8	44.0%	29.9%

- 2021 წლის თებერვალში წმინდა ფულადი გზავნილები 140.4 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 21.5 პროცენტიან წლიურ ზრდას.
- გზავნილები გაიზარდა:
  - იტალიიდან: 32.6 პროცენტი (6 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - აშშ-დან: 36.1 პროცენტი (4.3 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - საბერძნეთიდან: 22 პროცენტი (2.9 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გზავნილები უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან.
- გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთიდან: -13.5 პროცენტი (-2.5 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - თურქეთიდან: -23.8 პროცენტი (-1 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

თებერვალში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წინა თვესთან შედარებით გაუფასურდა 0.7 პროცენტით

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში

31 მარტი, 2021



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	31 მარტი, 2021	31 მარ 2021 - 1 იან 2021	31 მარ 2021 - 1 იან 2020
ევრო	4.0044	-19.7%	-23.6%
აშშ დოლარი	3.4118	-16.0%	-21.7%
თურქული ლირა	0.4064	18.5%	24.4%
რუსული რუბლი	0.0449	2.6%	-14.5%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	109.82	-0.7%	-7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი, 2020)	103.18	-1.7%	-8.9%

წყარო: სებ

პირველ კვარტალში საგადასახდო შემოსავლებმა 0.3 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მარტი 2021



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2021 წლის გადასახადების იანვარ-მარტში საპროგნოზო მაჩვენებელი 2,947 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის იანვარ-მარტის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 0.3 პროცენტით მეტია, და შეადგენს 2,957.1 მლნ ლარს.
- 2021 წლის მარტში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,176.8 მლნ ლარი, რაც 4.5 პროცენტით ნაკლებია დაგეგმილ მაჩვენებელზე - 1,124.1 მლნ ლარს.
- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 7.6 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 14.3 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -125.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -343.5 მლნ ლარით.
- გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა გადასახადიდან მიღებულმა შემოსავლებმა: 18.1 პროცენტიანი კონტრიბუცია მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

	2021		
	იანვარი	თებერვალი	მარტი
შემოსავლები	**1186.8**	**964.4**	**1226.8**
გადასახადები	931.8	901.2	1124.1
საშემოსავლო	343.4	214.0	277.0
მოგების	96.2	41.3	292.5
დღგ	362.7	341.5	501.2
იმპორტის	81.9	87.7	137.1
აქციზი	4.4	5.1	7.5
ქონების გადასახადი	4.1	3.3	4.4
სხვა გადასახადები	39.2	208.2	-95.6
გრანტები	168.7	8.4	24.4
სხვა შემოსავლები	86.3	54.9	78.3
ხარჯები	**1049.4**	**1051.4**	**1169.4**
შრომის ანაზღაურება	162.5	163.6	161.8
საქონელი და მომსახურება	104.5	145.2	153.4
პროცენტი	100.6	40.0	41.6
სუბსიდიები	103.4	101.8	113.1
გრანტები	21.4	8.1	6.6
სოციალური უზრუნველყოფა	441.8	484.6	586.6
სხვა ხარჯები	115.1	108.2	106.4
საოპერაციო სალდო	**137.4**	**-87.0**	**57.4**
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	**185.2**	**256.7**	**252.2**
ზრდა	192.5	260.9	290.3
კლება	-7.3	-4.2	-38.1
მთლიანი სალდო	**-47.8**	**-343.7**	**-194.9**
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	**-2.3**	**3.4**	**16.3**
ზრდა	7.4	3.5	16.6
კლება	-9.7	-0.1	-0.3
ვალდებულებების ცვლილება	**-22.6**	**772.3**	**238.3**
საგარეო	301.3	751.6	228.6
საშინაო	-323.9	20.7	9.6
ნაერთი ბიუჯეტის ბალანსი	**-47.8**	**-343.7**	**-194.9**
გადასახადების უკან დაბრუნება	**127.1**	**191.3**	**148.3**

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



- 2021 წლის მარტში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 87.625 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.19 პროცენტი შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 70 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- დაიფარა 70 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2021 წლის 31 მარტისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 23.3% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (თებერვალი 2.99) შედარებით შემცირდა და 2.71 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.5 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 28.7 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 37.8 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 52.9 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 23.6 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 41.5 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 42 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 27.8 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

ვლინდება სესხების წლიური ზრდის ტენდენცია

სესხების წლიური ზრდა



სესხების წლიური ზრდა



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ



- 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით 2020 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 10 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაში რამაც განაპირობა 2021 წლისათვის მისი მნიშვნელობის 9.4 პროცენტამდე შემცირება.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 10.6 პროცენტს შეადგენს.
- 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 18.5 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 4.1 პროცენტს გაუტოლდა.
- 2021 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 19.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 32.6, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 13.1 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა აჭარბებს უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდას

დეპოზიტების წლიური ზრდა



დეპოზიტების წლიური ზრდა



დეპოზიტების წლიური ზრდა



- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 მარტის 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 35 პროცენტს. შედარებით სტაბილურია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა და იმავე პერიოდში 13 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 12 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 30 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა 5.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა თებერვალთან შედარებით. 2021 წლის მარტის დასაწყისში 9 პროცენტი შეადგინა.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 26.5 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდა აღემატება თებერვლის წლიურ ზრდას (11.6 პ.პ.-ით) და შეადგინა 21.1 პროცენტი.

წყარო: სებ

რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა 0.5 პ.პ.-ით 8.5 პროცენტამდე

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 17 მარტს რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.50 პროცენტით განისაზღვრა.
- ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, , 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4-4.5 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.
- სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციაზე, პანდემიით გამოწვეული გამოშვების შემცირების გამო პროდუქციაზე საშუალო დანახარჯების გაზრდაზე და ამავე დროს, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებულ დონეზე ხანგრძლივად შენარჩუნება ფასების ზრდაზე დამატებით წნეხს აჩენს.
- მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 28 აპრილს ჩატარდება.
- 2021 წლის მარტის თვეში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 40 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.

წყარო: სებ

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით შემცირდა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2021 წლის 1 მარტისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.8 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.1 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 22.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.1 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.1 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.4 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.8 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის თებერვლის ბოლოს 12.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო